ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 4-1/დ868-18

10 05 2018 წ.

დადგენილება №000063
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

10.05.2018წ. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7

მე, სამსახურის უფროსის მოადგილემ მამუკა ჯაყელმა განვიხილე 2018 წლის 10 მაისის №000063 შემოწმების აქტი „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ", შედგენილი შ.პ.ს. „ეკო გრუპი"-ს (ს/კ №400155773; დირექტორი - დავით მეგრელიშვილი; მის: ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, ეროსთავის ქ. №2, (ნაკვეთი 01/106), სართული 11, ბინა №53) მიმართ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (ნებართვის პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის „ა" პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, სექტორი - დიდუბე, ქუჩა სამხრეთ ფარეხი, №84-ში (ს/კ №01.13.06.004.049), შ.პ.ს. „ეკო გრუპი"-ს მიერ, განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 18.02.2016წ. 2441514 ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: ფასადებზე გაუქმებულია ტრავერტინით მოპირკეთება და მის ნაცვლად ფასადები შეღებილია ფაქტურიანი ღებვით. ფასადებზე შეცვლილია ვიტრაჟების ნახაზი. შეცვლილია მოაჯირების ნახაზი და მოაჯირები შესაღებია. ფასადებზე წყალშემკრებ მილებს ნაწილობრივ მონაცვლებული აქვს ადგილი. ფასადებზე დამატებით მოწყობილია გამწოვი მილები და კონდიციონერები. ნაწილობრივ შეცვლილია რელიეფის დახრა. ტერიტორიაზე მოსაწყობია გამწვანების ზოლი. „ა-ზ" ფასადზე 1-2 მონაკვეთში +3.40 ნიშნულიდან +32.90 ნიშნულის ჩათვლით დამატებით მოწყობილია აივნები, ლითონის მოაჯირები, კაპიტალური კედლები და ფანჯრის ნაცვლად მოწყობილია კარ-ვიტრაჟი. 2-8 მონაკვეთში ±0.00 ნიშნულზე ვიტრაჟების ნაწილი შესამინია. 4-5 მონაკვეთში სადარბაზოში შესასვლელთან +4.00 ნიშნულის ქვევით დამატებით მოწყობილია რიგელი. 6 ღერძზე +3.40 ნიშნულზე დამატებით მოწყობილი რიგელი. 5-8 მონაკვეთში ±0.00 ნიშნულზე მოსაწყობია პანდუსები, საფეხურები და პანდუსზე მოსაწყობია მოაჯირები. „ზ-ა" ფასადზე ზ ღერძის მარცხნივ პარკინგზე ჩასასვლელ პანდუსთან მოწყობილ კაპიტალურ კედელზე დამატებით მოწყობილია ლითონის მოაჯირები. ბ-ა მონაკვეთში კორპუსებს შორის გაუქმებულია მონოლითური კედელი. ზ-ბ მონაკვეთში კედელი შესაღებია. „8-

განისაზღვრება 45-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" პუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით და მოქმედი რედაქცია ითვალისწინებს პირის დაჯარიმებას 15000 (თხუთმეტიათასი) ლარის ოდენობით. ვინაიდან, სამართალდარღვევა ჩადენილია დასახელებული ცვლილებებისა და დამატებების ამოქმედებამდე (18.02.2016წ. №2441514 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტით მშენებლობის ვადად განსაზღვრულია 2016 წლის 18 თებერვლიდან 2017 წლის 18 აგვისტოს ჩათვლით, შესაბამისად, სამშენებლო სამუშაოები განხორციელებულია მითითებულ პერიოდში), ხოლო საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ" 47-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „ნორმატიულ აქტს, რომელიც ადგენს ან ამძიმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს". შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს გაზრდილი საჯარიმო თანხის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შ.პ.ს. „ეკო გრუპი"-ს მიერ, ჩადენილია საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის „ა" პუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ ქ. თბილისში, სექტორი - დიდუბე, ქუჩა სამხრეთ ფარეხი, №84-ში (ს/კ №01.13.06.004.049), განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.ა. ქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 18.02.2016წ. 2441514 ბრძანებით შეთანხმებული კორექტორებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის „ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" პუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით,

დავადგინე:

1. შ.პ.ს. „ეკო გრუპი" დაჯარიმდეს 4000 (ოთხიათასი) ლარით პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) მშენებლობისათვის;

2. შ.პ.ს. „ეკო გრუპი"-ს დაევალოს, საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში: საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე;

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით
შ.პ.ს. „ეკო გრუპი"-ს

I" ფასადზე: 2-1 მონაკვეთში +4.00 ნიშნულზე რიგელი ჩესაღებია. 3-2 მონაკვეთში ვიტრაჟი შესამინია. 3-2 მონაკვეთში ±0.00 ნიშნულის ქვეით დამატებით მოწყობილია ლითონის ჭიშკარი. 4-3 მონაკვეთში ±0.00 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია ბეტონის ფილა. 5-6 და 4-3 მონაკვეთებში მინაბლოკების ნაცვლად მოწყობილია გაუმჭირვალე მინაპაკეტი და გაზრდილია მათი რაოდენობა, ასევე ნაწილობრივ შესამინია. +27.10 ნიშნულზე 2-1 მონაკვეთში დამატებით მოწყობილია სატელიტური ანტენა. **„ა-ზ" ფასადზე**: დ-ზ მონაკვეთში მინაბლოკების ნაცვლად მოწყობილია გაუმჭირვალე მინაპაკეტი. **„გეგმების მიხედვით"**: 6-7 მონაკვეთში კედელს მონაცვლებული აქვს ადგილი შენობის შიგნით რის გამოც შემცირებულია პარკინგის ბაბარიტი. 5-6 მონაკვეთში კიბეს მონაცვლებული აქვს ადგილი 5-5 ღერძისკენ. შეცვლილია კიბის ფორმა და საფეხურების რაოდენობა, ასევე კაპიტალური კიბის ნაცვლად მოწყობილია ლითონის კიბე. ა-ა ღერძზე 1-1 მონაკვეთში პილონის ნაცვლად მოწყობილია კოლონა. ე-დ მონაკვეთში ლიფტის -. შახტებთან დამატებით მოწყობილია კოლონები. 6-4 მონაკვეთში შეცვლილია ლიფტის შახტების და კიბის უჯრედის სათავსოს ფორმა. ზ-ზ ღერძზე 3-2 მონაკვეთში დამატებით მოყობილია ცხაური. ზ-ზ ღერძის გარეთ 3-2 მონაკვეთში შეცვლილია პანდუსის და პანდუსთან მდებარე კაპიტალური კედლების ფორმა, ასევე შეცვლილია პანდუსის სიგანე. 8-8 ღერძის გარეთ გ-ზ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ბეტონის ფილა, კაპიტალური კედლები, რის გამოც შეიმცირა სივრცე. ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების კვეთი და კოლონებს ნაწილობრივ მონაცვლებული აქვს ადგილი. ±0.00 ნიშნულზე ნაწილობრივ შეცვლილია ვიტრაჟების გაბარიტი. 3-3 ზ-ზ ღერძზე კოლონა მოტრიალებულია. 4-3 მონაკვეთში ცხაურში დამატებით მოწყობილია კარი. ±0.00 ნიშნულზე კედლების ნაწილს მონაცვლებული აქვს ადგილი. ე-დ მონაკვეთში გაზრდილია კიბის საფეხურების რაოდენობა. ზ-ზ ღერძზე 8-6 მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კოლონები. ე-დ მონაკვეთში ლიფტის შახტებს მონაცვლებული აქვს ადგილი და შეცვლილია ლიფტის კარის მდებარეობა. 5-4 მონაკვეთში გაუქმებულია ტამბური. +17.20 ნიშნულზე 6-7 მონაკვეთში გაზრდილია აივნის სიგანე. ნაწილობრივ შეცვლილია სადარბაზოს ფართები. აივნებზე ნაწილობრივ დამატებით მოწყობილია კაპიტალური კედლები. 6-6 ღერძზე ს-ე მონაკვეთში შეცვლილია ფანჯრების გაბარიტი, ასევე შეცვლილია მინაბლოკების ადგილას მოწყობილი მინაპაკეტების სიმაღლე. დასახრულებელია სადარბაზოების მოწყობა. +30.40 ნიშნულზე 4-3 მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ლითონის კიბე და გადახურვის ფილაში დამატებით მოწყობილია სახურავზე ასასვლელი ღიობი. დ-ზ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია შახტები. +33.70 ნიშნულზე გაზრდილია ლიფტის სამანქანოს გაბარიტები, ასევე შემცირებულია სიმაღლე. დ-ე მონაკვეთში დამატებით მოწყობილია გამწოვი მილი. დ-დ ღერძზე მდებარე ფრამუგებს მონაცვლებული აქვს ადგილი დ-ე და ე-დ ღერძებში. 33.70 ნიშნულზე 1-6 მონაკვეთში დამატებით მოწყობილია შახტები.

2018 წლის 10 მაისს საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის „ზ" პუნქტის საფუძველზე, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000063 „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ." საქმეშია, მხარის 2018 წლის 12 აპრილის N-10/0118102923-17 განცხადება; ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონის პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში 2018 წლის 7 მარტს შესულია №2051-IIს ცვლილებით (სარეგისტრაციო კოდი №240110000.05.001.018779; გამოქვეყნების თარიღი 21.03.2018წ.) აღნიშნულ სამართალდარღვევაზე პასუხისმგებლობა

ტერაბანკი
terabank

საკრედიტო საგადასახდო დავალება N 1

თარიღი/Date 14/05/2018

გადამხდელი:	შპს ეკო გრუპი, 400155773
საიდენტ. კოდი:	400155773
ანგარიში:	GE67KS0000000360500305
გადამხდელის ბანკი:	სს "თერაბანკი"
ბანკის კოდი:	TEBAGE22
ანგარიშსწორების პირზე რაზედაც მიკუთვნება გადახდა დასახელება:	შპს ეკო გრუპი, 400155773
საიდენტ. კოდი/პირადი ნომერი:	400155773
მიზანი:	სახლის ეკოთილი ანგარიში. სხვა შემთხვევები (თერთმეორადები კალატი თბილ
მიმღების ანგარიშსწორების კოდი:	300773263
მიმღები ბანკი/ბანკი:	ქ"თბილისი, შპს"ეროვნული ბანკი"
ბანკის კოდი:	TRESGE22
გადახდის დანიშნულება:	შემოსავალი საწარმოებიდან (ვალიანები და საურავები) არასაკრედიტო ორგანიზაციის ანგარიშიდან გადმოსული დარიცხვის გამო
დამატებითი ინფორმაცია:	შემოწმების აქტი N 000063

თანხა: 4,000.00 GEL

თანხა სიტყვებით
ოთხი ათასი ლარი 00 თეთრი

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი: 14/05/2018

შესრულების თარიღი: 14/05/2018

ხელმოწერა: _____

ხელმოწერა: _____

ბ.ა.

შემოსვლის აღნიშვნა

14/05/2018 11:40:32 AM 11F748ZC 949

"საბუთზე, რომ ხელმოწერა ან ბეჭედი არ ემთხვევა ბანკში არსებულ ნიმუშს, ბანკი უფლებას იტოვებს არ შეასრულოს ოპერაცია. ამ ბანკის გადაწყვეტილებით ნებისმიერი დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნა, რაც ბანკს დასჭირდება ოპერაციის შესრულებისთვის. ასევე, ბანკის გადაწყვეტილებით ნებისმიერი ოპერაციის შეჩერება ან გაუქმება ნებისმიერ დროს, ნებისმიერი მიზეზის გარეშე."

თანხმობა

მე, **ზურაბ მათიაშვილი** (დაბადებული 07.11.1954წ. გარდაბანში, პირადი №01001023275, პირადობის მოწმობა №13IH05568, გაცემული 17.09.2014წ., რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, მ. კოსტავას ქ. 71ა, ბ. 61) **თანახმა ვარ საავტორო უფლებები პროექტზე (ობიექტი: ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი №87ზ; საკადასტრო კოდი №01.13.06.004.049) გადავცე სულხან ყორიაულს** (დაბადებული 12.12.1973წ. თბილისში, პირადი №01027026829, პირადობის მოწმობა №15IA12816, გაცემული 13.01.2016წ.), რაზედაც ვაწერ ხელს.

ზურაბ მათიაშვილი : ზურაბ მათიაშვილი

სანოტარო აქტი

საქართველო

ორიათას ჩვიდმეტი წლის ოცდაათ იანვარს მე, საქართველოს ნოტარიუსს ანნა როინიშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, პეკინის გამზ. №5, მეოთხე სართული, მომმართა **ზურაბ მათიაშვილმა.** მან წარმოადგინა თანხმობა და მოითხოვა მასზე თავისი ხელისმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ზურაბ მათიაშვილმა** (დაბადებული 07.11.1954წ. გარდაბანში, პირადი №01001023275, პირადობის მოწმობა №13IH05568, გაცემული 17.09.2014წ., რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, მ. კოსტავას ქ. 71ა, ბ. 61) მომმართა.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, განვუმარტე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მე, ნოტარიუსმა განვუმარტე, რომ არ ვადასტურებ დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ ვაგებ მათ ნამდვილობაზე, რის შემდეგ ხელმომწერმა განაცხადა, რომ წინამდებარე ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას, რასაც ვამოწმებ.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური 2,0 ლარი თანახმად "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების გადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 29.12.2011წ. №507 დადგენილების 31-ე მუხლისა; ავრეთვე სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 2,0 ლარი თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011წ. №507 დადგენილების 39.1 მუხლისა; სულ 4,0 ლარი.

ნოტარიუსი ანნა როინიშვილი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N170092646
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	30.01.2017 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ანნა როინიშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, პეკინის გამზირი 5, IV სართული
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2 - 36 40 32
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	67015009715517

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სალაროს შემოსავლის ორდერი 14/69439

საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი,სერვის ცენტრი #87

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA

ოპერაციის თარიღი 18-02-2013
ვალუტირების თარიღი 18-02-2013

დებეტი
GE95BG4501981167030000

სულ თანხა
692.10 ლარი

თანხა სიტყვიერად
ექვსას ოთხმოცდათორმეტი ლარი 10 თეთრი

შემომტანი: ელისაბედ გოგიძე
პირ. დამადასტურებელი საუთის მონაცემები:
სერ: ნომ& გაც. თარ& გამცემი& პირ. ნომ& დაბ. თარ&01.03.1954

მიმღები: კრედიტი GE95BG4501981167030000
თანხა 691.10 ლარი

დანიშნულება:
მეტროს სერვის-ცენტრების მომსახურებით გადასახდელის გადახდა, სხაპ თბილისის არქიტექტურის სამსახური, ნომერი AR110786IBP, გადახდის კოდი - 187152607

კრედიტი 6404.04
თანხა 1.00 ლარი
საკომისიო

ხელმოწერები:

შემომტანი:

კონტროლიორი:

მოლარე:

498 BAGAGE22

სალაროს შემოსავლის ორდერი 14/69439

საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი,სერვის ცენტრი #87

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 4-1/2 1794-16

"16" 12 2016 წ.

დადგენილება №002171
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

16.12.2016წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7

მე, სამსახურის უფროსის მოადგილემ ვლადიმერ ყუშიტაშვილმა განვიხილე 2016 წლის 05 დეკემბრის №002171 მითითება და 2016 წლის 16 დეკემბრის №002171 შემოწმების აქტი, შედგენილი შ.პ.ს. "ეკო გრუპი"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი №400155773, დირ. დავით მეგრელიშვილი (პირადი №01022003393, მის: ქ. თბილისი, ერისთავის ქ. №2, ნაკვეთი №01/106, XI სართული, ბ.№53) მიმართ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და **გამოვარკვიე:**

ქ. თბილისში, სამხრეთ ფარეხის ქუჩა №84, ნაკვეთ №4/49-ში (საკ. კოდი №01.13.06.004.049) შ.პ.ს. "ეკო გრუპი"-ს მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №2441514 AR1377571 18.02.2016წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების გაბარიტი და ფორმა, ასევე შემცირებულია რიგელების რაოდენობა. „ა-ბ" და „6-7" მონაკვეთში მონაცვებულია კედელი. -3.30 ნიშნულზე გარეშემომზღუდავი კედლები ბლოკის ნაცვლად მოწყობილია მონოლითის, ასევე შემცირებულია კედლების სისქე. „ა-ბ" მონაკვეთში დიაფრაგმებს მონაცვლებული აქვს ადგილი. დამატებით მოწყობილია საკომუნიკაციო შახტები. 0.00 ნიშნულზე „5-6" მონაკვეთში მონაცვლებულია და შეცვლილია კიბისთვის განკუთვნილი ღიობი სართულშუა ფილაში. შემცირებულია ლიფტის შახტის გაბარიტები, ასევე მონაცვლებული აქვს ადგილი. ნაწილობრივ შეცვლილია კიბის საფეხურების რაოდენობა, ასევე სართულებზე შეცვლილია კიბის ბაქნის გაბარიტი. სართულებზე „2-1" მონაკვეთში „ა-ა" ღერძთან გაზრდილია სართულშუა გადახურვის ფილა. „ა-ზ" ფასადზე ნაწილობრივ შეცვლილია ღიობების გაბარიტი. „8-1" ფასადზე „1-3" მონაკვეთში +4.00 ნიშნულზე შეცვლილია მოაჯირის ვიზუალი. +20.50 ნიშნულის ზემოთ ვერ მოხერხდა ობიექტის დათვალიერება.

სამსახურის სპეციალისტის მიერ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2016 წლის 05 დეკემბერს შედგენილ იქნა მითითება №002171, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 20 (ოცი) დღიანი ვადა ობიექტის პროექტთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

2016 წლის 28 ნოემბერს საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №002171, რომლითაც დაფიქსირდა მითითების მოთხოვნათა შეუსრულებლობა. საქმეშია, ობიექტის ამსახველი ფოტომასალა; მხარის №428732/07 05.12.2016წ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, შ.პ.ს. "ეკო გრუპი"-ს მიერ ჩადენილია საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, სამხრეთ ფარეხის ქუჩა №84, ნაკვეთ №4/49-ში (საკ. კოდი №01.13.06.004.049) შ.პ.ს. "ეკო გრუპი"-ს მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №2441514 AR1377571 18.02.2016წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, 2009 წლის 24 მარტის საქართველოს მთავრობის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის "ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. შ.პ.ს. "ეკო გრუპი" დაჯარიმდეს 4.000 (ოთხიათასი) ლარით პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. შ.პ.ს. "ეკო გრუპი"-ს დაევალოს, საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში: საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე;

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. "ეკო გრუპი"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის

დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით;

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
მოადგილე ვ. ყუშიტაშვილი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის
საქალაქო სამსახური

თბილისი, 0160, შარტავას ქ. 7 ტელ: 2378501, 2378396

შემოწმების აქტი № 002171

შედგენის თარიღი: 16.11.2016

მითითებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ამოწმებს დამრღვევს, რაზეც დგება შემოწმების აქტი. შემოწმების აქტში აისახება მშენებარე ობიექტის ფაქტობრივი მდგომარეობა მითითების პირობებთან მიმართებაში. (საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი" 25-ე მუხლის მე-5 ნაწილი).

მითითება გაცემული იყო საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი" _____ მუხლის _____ ნაწილის _____ პუნქტით.

გათვალისწინებული დარღვევის გამოსასწორებლად.

შემოწმების აქტი დგება _____

გაცემული № _____ მითითებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მდგომარეობის დასადგენად.

დამრღვევის დასახელება და მისამართი: _____

ობიექტის დასახელება და მისამართი: _____

_____ შემოწმების მომენტში

მშენებლობის ეტაპი: _____

შემოწმებით დადგინდა:

რითაც დგინდება, რომ:

ა) მითითება შესრულდა;

ბ) მითითება არ შესრულდა;

გ) მითითება არადროულად სრულდება.

შემოწმების აქტის საფუძველზე, თუკი აქტში დაფიქსირებულია დარღვევა, სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას:

ა) დამრღვევის დაჯარიმების შესახებ;

ბ) დამრღვევის დაჯარიმებისა და კანონმდებლობის დარღვევით მიმდინარე უნებართვო მშენებლობის და უნებართვო დემონტაჟის შეჩერების შესახებ;

გ) დამრღვევის დაჯარიმებისა და კანონმდებლობის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივი დემონტაჟის, მშენებარე შენობა-ნაგებობების მშენებლობის მთლიანი ან ნაწილობრივი შეჩერების და დემონტაჟის შესახებ (საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“ 25-ე მუხლის მე-9 ნაწილი);

თუ დარღვევა გამოსწორებულია, საქმის განხილვისას გამოვლინდა სამშენებლო სამართალდარღვევის გამომრიცხველი გარემოებები, პროექტის შემთანხმებელმა და მშენებლობის ნებართვის გამცემმა ორგანომ მიიღო გადაწყვეტილება ობიექტის ლეგალიზების შესახებ ან არ არსებობს „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსის 25-ე მუხლის მე-9 ნაწილით გათვალისწინებული დადგენილების მიღების საფუძველი, სამშენებლო სამართალდარღვევის საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ, (საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი'' 25-ე მუხლის მე-11 ნაწილი)

თუ მითითება დროულად არ შესრულდა, მაგრამ სამართალდარღვევა აღმოფხვრილ იქნა დადგენილების მიღებამდე, დამრღვევი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, ხოლო სამართალდარღვევაზე დაწყებული წარმოება უნდა შეწყდეს („პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის'' კოდექსის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილი);

შემოწმების აქტის შემდგენი (თანამდებობა, სახელი, გვარი, ხელმოწერა):

_____

_____

_____

შემოწმების აქტი ჩაიბარა (სახელი, გვარი, მიღების თარიღი, ხელმოწერა):

_____

_____

_____

_____

თუ ვერ ხერხდება დადგენილებაში მითითებული მხარისათვის მითითების, შემოწმების აქტის, უწყების ან დადგენილების გაცნობა (პირადად ჩაბარება), გაცნობად (ჩაბარებად) ჩაითვალოს მათი განთავსება მითითებაში, შემოწმების აქტში, უწყებაში ან დადგენილებაში მითითებული ობიექტის თვალსაჩინო ადგილზე (საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი'' 25-ე მუხლის მე-19 ნაწილი).

შემოწმების აქტი გაეცნო (ჩაბარდა) დამრღვევს თვალსაჩინო ადგილზე განთავსების გზით. (ზუსტად მიეთითოს თვალსაჩინო ადგილი)

_____

_____ განთავსების თარიღი

ტერაბანკი
terabank

საკრედიტო საგადახდო დავალება N 1

თარიღი / Date 19/12/2016

გადამხდელი: შპს ეკო გრუპი, 400155773

თანხა: 4,000.00 GEL

საიდენტ. კოდი: 400155773

ანგარიში: GE67KS0000000360500305

გადამხდელის ბანკი: სს "ტერაბანკი"

ბანკის კოდი: TEBAGE22

თანხა სიტყვებით

ოთხი ათასი ლარი 00 თეთრი

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა

დასახელება: შპს ეკო გრუპი, 400155773

საიდენტ. კოდი/პირადი ნომერი: 400155773

მიმღები: საზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ

მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 300773263

მიმღები ბანკი/საზინა: ქ.თბილისი, "სახელმწიფო საზინა"

ბანკის კოდი: TRESGE22

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი: 19/12/2016

შესრულების თარიღი: 19/12/2016

ხელმოწერა:

გადახდის დანიშნულება: შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლინილი დარღვევის გამო

დამატებითი ინფორმაცია: ჯარიმა დადგენილება N002171

ხელმოწერა:

ბ.ა.

შტამპის ადგილი



12/19/2016 12:59:47 PM 0E263BE1 1369

ტერაბანკი
terabank

სალაროს შემოსავლის ორდერი / Cash Receive Order N1

თარიღი / Date 19/12/2016

შემომტანი / Depositor	პირადობის დამადასტურებელი საბუთი / ID
დავით მეგრელიშვილი	საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა: ბ0467044, პირადი #: 01022003393
მიმღები ბანკი / Bank Name	IBAN დებეტი / Debit
სს ტერაბანკი	GE02 KS00 0000 0100 5180 01
ბანკის კოდი / Bank Code	IBAN კრედიტი / Credit
TEBAGE22	GE67 KS00 0000 0360 5003 05
მიმღები / Receiver	თანხა ციფრებით / Amount in figures
შპს ეკო გრუპი	4,100.00 GEL
გადახდის დანიშნულება / Description	თანხა სიტყვიერად / Amount in words
დამფუძნებლის შენატანი	ოთხი ათას ასი ლარი 00 თეთრი

ბანკის ხელმოწერა / Bank Signature ____________________

მოლარე / Cashier ____________________

ს.ს. "ტერაბანკი" ... ოპერაციო სალარო TEBAGE22 4

12/19/2016 12:58:36 PM 0E263BAA 1369



თანხმობა

მე, ლევან მაისურაძე (დაბადებული 11.12.1987წ

თბილისი, პ/ნ 01024051879, პასპორტის ნომერი 13II09812

გაცემული 05.01.2015წ. რეგისტრირებული მისამართი: თბილისი,

ს. ჩიქოვანის ქ. 2/7 ბინა 122) თანახმა ვარ საკუთარი

უფლება პარკირებაზე (მისამართი: ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი

№ 87ე; საკადასტრო კოდი 01.13.06.004.049) გადავცე

ბესარიონ ყოჩიაშვილს (დაბადებული 12.12.1973წ. თბილისი,

პ/ნ 01027026829, პასპორტის ნომერი 15IA12816, გაცემული

13.01.2016წ) რასაც ვაწერ ხელს.

ლევან მაისურაძე: ლ. [signature]

ლევან მაისურაძე

ორი ათას თვრამეტი წლის პირველ მარტს, მე ნიკოლოზ მალაშხიას, ნოტარიუსს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. თბილისში, პეკინის გამზ. № 15, პირველ სართულზე, მომმართა ლევან მათიაშვილმა. მან წარმოადგინა წინამდებარე თანხმობა და მოითხოვა მასზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებული დოკუმენტით: ლევან მათიაშვილი - დაბ. 11. 12. 1987წ., პირადი № 01024051879, მცხ. ქ. თბილისი, ს. ჩიქოვანის ქ. № 7/2, ბ. 122. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე განვუმარტე, რომ ნოტარიუსი პასუხს არ აგებს წინამდებარე დოკუმენტის კანონმდებლობასთან შეუსაბამობაზე, მის შინაარსზე და ხელმომწერების ნების არაადეკვატურად ასახვის გამო, რის შემდეგაც მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი დოკუმენტზე, რასაც ვამოწმებ.

სანოტარო საზღაური, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507, მუხლი 31 თანახმად გადახდილია 2.0 ლარი და მუხლი 39-ის თანახმად რეგისტრაციის საფასური 2.0 ლარი, სულ გადახდილია 4.0 ლარი.

ნოტარიუსი

საქართველო * GEORGIA * NOTARY NIKOLOZ MALASHKHIA * ნიკოლოზ მალაშხია * ГРУЗИЯ НОТАРИУС МАЛАШХИЯ НИКОЛАЙ * 62004000581 *

დამოწმებულია და
მოხაზგაერილია
ფურცელი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N180217310
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	01.03.2018 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნიკოლოზ მალაშხია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, პეკინის გამზ. # 15
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2377321; მობ: 599561242
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	89448621594418

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა

განკარგულება № 02.42.71

„18" იანვარი 2018 წ.

ქ. თბილისში, სოფელ დიღომში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.042.315, №01.72.14.042.466, №01.72.14.042.314) საცხოვრებელი ობიექტების (დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში რეგისტრირებული 2017 წლის 9 ნოემბრის №AR1556651 განცხადებით გია კოლოტაურმა (პ/ნ 31001023368), ევა კოლოტაურმა (პ/ნ 31001024759), ელგუჯა კოლოტაურმა (პ/ნ 31001039605) და ზაზა ელბაქიძემ (პ/ნ 01032000863) მოითხოვეს ქ. თბილისში, სოფელ დიღომში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.042.315, №01.72.14.042.466, №01.72.14.042.314) საცხოვრებელი ობიექტების (დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცება.

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, სოფელ დიღომში. საპროექტო ტერიტორია მოიცავს სამ საკადასტრო ერთეულს (ს/კ: №01.72.14.042.315, ს/კ: №01.72.14.042.466, ს/კ: №01.72.14.042.314), რომლის მთლიანი ფართობი შეადგენს 7273 კვ.მ-ს (დარეგისტრირებული - 5019კვ. დაურეგისტრირებელი - 2254 კვ.მ.). ერთ-ერთ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.72.14.042.314) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 14 ივნისის №2631473 ბრძანებით დამტკიცებულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსებისათვის. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამკიცების ეტაპზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარდგენილ იქნა გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ შესრულებული ჰიდროლოგიური და ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური შეფასება, რომლის თანახმად, ნაკვეთი, საინჟინრო-გეოლოგიური თვალსაზრისით, დამაკმაყოფილებელ პირობებში იმყოფება და შეიძლება გამოყენებული იქნეს მშენებლობისთვის. ამასთან, მითითებულია, რომ შენობა, სასურველია, განთავსდეს ნაკვეთის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთით ნაწილში, რადგანაც აქ არსებული გრუნტები შედარებით მაღალი მდგრადობით გამოირჩევა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მშენებლობის წარმოებისთვის აუცილებელია დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ჩატარება.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, ტერიტორიაზე ვრცელდება ზოგადი საცხოვრებელი ზონა. საპროექტო ტერიტორია მდებარეობს პერიფერიულ ზონაში და ყვება დიდი დიღმის ჩარჩო გეგმის არეალში. განსახილველი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება ითვალისწინებს 4-5 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განთავსებას. განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტით გათვალისწინებულია საპროექტო ტერიტორიის

ფუნქციური ზონის ცვლილება საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3). განცხადებაზე წარდგენილია არასრულყოფილი 4 გვერდიანი დასაბუთების ალბომი. წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასაკმარისია განაშენიანების რეგულირების გეგმარებითი დავალების დამტკიცებისათვის. საპროექტო გეგმაზე არასრულყოფილად და შეუსაბამოდ არის დატანილი საპროექტო ობიექტები, მაგალითად: სპორტული მოედანი და საპროექტო გზა განთავსებულია ხევის არეალში. ასევე, წარმოდგენილი გამოკვეთა არ შეესაბამება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტს და გაურკვეველია. ამასთან, დოკუმენტაცია არ არის დამუშავებული კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

მიწის ნაკვეთი მდებარეობს წორწორას ხევის უშუალო სიახლოვეს, რომლის კალაპოტი არ არის ჩამოყალიბებული. ეკოლოგიური საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, მშენებლობის წარმოებისთვის აუცილებელია დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ჩატარება. ასევე, ტერიტორიის მიმდებარედ დომინანტურია ინდივიდუალური განაშენიანება, ფუნქციური ზონა - საცხოვრებელი ზონა 1-ის შესაბამისად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში რეგისტრირებული 2017 წლის 9 ნოემბრის №AR1556651 განცხადებით წარდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი არ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მოთხოვნა, ქ. თბილისში, სოფელ დიღომში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.042.315, №01.72.14.042.466, №01.72.14.042.314) საცხოვრებელი ობიექტების (დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 75-ე მუხლის „ე.ბ" ქვეპუნქტისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. უარი ეთქვას ქ. თბილისში, სოფელ დიღომში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.042.315, №01.72.14.042.466, №01.72.14.042.314) საცხოვრებელი ობიექტების (დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცებას.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ილია ელოშვილს.

3. ამ განკარგულების გასაჩივრება დაინტერესებული მხარის მიერ შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **67-01180642933**

თარიღი: **05.03.2018**

ადრესატი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას ქ. 7

ასლი
ნია კოლოტაური
პირადი ნომერი: 31001023368
მისამართი: თბილისი ს. დიღომი გ.ბრწყინვალეს ქ. N 8

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურს წარედგინა NAR1556651 განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების მოთხოვნით.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა შეიმუშავებს მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტებს; ამავე კოდექსის 73-ე მუხლის მე-2 ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, თბილისის მერი თბილისის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტებს;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ მე-9 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს მშენებლობის ნებართვის გამცემი შესაბამისი სამსახური, რომელიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის შესაბამისი განკარგულების საფუძველზე ამზადებს თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტებს:

ა) I ეტაპი – განაშენიანების რეგულირების გეგმების გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ;

ბ) II ეტაპი – განაშენიანების რეგულირების გეგმების დამტკიცების შესახებ.

ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტები თბილისის მერის მიერ წარედგინება თბილისის საკრებულოს.

გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურში წარდგენილ NAR1556651 განცხადებასთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ 2018 წლის 18 იანვრის მიღებულ იქნა N02.42.71 განკარგულება სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტის

შემუშავებაზე უარის თქმის შესახებ, კერძოდ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალების მოწონებაზე უარის თქმის თაობაზე.

გიგზავნით თბილისის მთავრობის ზემოაღნიშნულ განკარგულებას დანართის სახით.

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

რუსუდან მირზიკაშვილი

ტერაბანკი
terabank

საკრედიტო საგადასდო დავალება N 1

თარიღი / Date 14/05/2018

გადამხდელი:	შპს ეკო გრუპი, 400155773
საიდენტ. კოდი:	400155773
ანგარიში:	GE67KS0000000360500305
გადამხდელის ბანკი:	სს "ტერაბანკი"
ბანკის კოდი:	TEBAGE22

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა

დასახელება:	შპს ეკო გრუპი, 400155773
საიდენტ. კოდი/პირადი ნომერი:	400155773

მიმღები:	ს/ზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ
მიმღების ანგარიში/ს/ზინო კოდი:	300773263
მიმღები ბანკი/ს/ზინა:	ქ.თბილისი, "სახელმწიფო ხაზინა"
ბანკის კოდი:	TRESGE22

გადახდის დანიშნულება:	შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო
დამატებითი ინფორმაცია:	შემოწმების აქტი N 000063

თანხა: 4,000.00 GEL

თანხა სიტყვებით
ოთხი ათასი ლარი 00 თეთრი

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი:	14/05/2018
შესრულების თარიღი:	14/05/2018
ხელმოწერა:	

ხელმოწერა:		ბ.ა.

შტამპის ადგილი

5/12/2018 11:40:32 AM 11F74B2C 949

"ვადასტურებ, რომ სრულად ვეცნობი ბანკის ვებგვერდზე - www.terabank.ge განთავსებულ საბანკო ოპერაციების წარმოების სტანდარტულ პირობებს (შემდგომში "პირობები") და ვეთანხმები მათ. ამავდროულად ვადასტურებ, რომ ბანკს უფლება აქვს პირობებით გათვალისწინებული წესის მიხედვით დამუშავოს კლიენტის შესახებ პერსონალური ინფორმაცია, მათ შორის, გადასცეს ბანკს ხელთარსებული, როგორც პოზიტიური, ასევე - ნეგატიური ინფორმაცია საკრედიტო ინფორმაციო ბიუროს (შემდგომში "ბიუროს") და გაეცნოს ბიუროს მონაცემთა ბაზაში, ასევე სახელმწიფო სერვისების განვითარების საგენტოს მონაცემთა ბაზებში კლიენტის პერსონალურ მონაცემებს."